თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეამ შეაჩერა ქუთაისის და მთლიანად რეგიონის განვითარება“

ირღვევა თუ არა კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს თბილისში გადატანით?

იხილეთ მე-2 გვერდზე

№31 (719) 3-9 ნოემბერი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

როგორ უმკლავდებიან ადამიანთა უკულტურობას ქუთაისის დასუფთავების სამსახურში



„P.S.ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

ვარლამიშვილის სკვერის დანიშნულება დღემდე ნაგავსაყრელია...

ის, რომ ქალაქს, სხვა მრავალ საჭიროებასთან ერთად, სისუფთავეც სჭირდება, ამაზე არავინ დავობს, თუმცა ქუთაისში, ვარლამიშვილის სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ 6 ოჯახს, წლებია, დავა სწორედ მონატრებული სისუფთავისთვის აქვთ.

როგორც თავად ამბობენ, წლების განმავლობაში მერიაში არაერთი შეტანილი განცხადების, თუ ადგილზე მოსული ჩინოვნიკების დაპირების მიუხედავად, ვარლამიშვილის სკვერის დანიშნულებად დღემდე ნაგავსაყრელი რჩება.

შესაბამისად, გასულ წლებში, რაღაცის შეცვლის იმედით, ყველანი ერთად საუბრობდნენ, დღეს კი უკვე უიმედობის გამო, საუბარიც არ სურთ.

მათგან საგაზეთო ინტერვიუზე თანხმობა მხოლოდ ერთმა მოსახლემ გამოთქვა.

ლალი მორჩაძე, ვარლამიშვილის ქუჩის მკვიდრი: „ამ თემაზე ადგილობრივებს საუბარიც აღარ სურთ, დავიღალეთ. წლებია, დაპირებებით ნაგავში ვცხოვრობთ. ეს სკვერი კი არა, ნაგავსაყრელი და ღია საპირფარეშოა, ფაქტობრივად. ღამით ბავშვებსაც ვერ ვუშვებთ გარეთ. გაუსაძლისი სიბინძურე და სუნია.“

ქუთაისის მერიაში საკადრო ცვლილების გამო, ქალაქში არსებულ დასუფთავების ავკარგზე პასუხს ამჯერად უკვე მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური აგებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ჭეშმარიტი მხატვრობა სუვენირებმა ჩაანაცვლა“

რა პრობლემები აქვთ ქუთაისელ მხატვრებს?

იხილეთ მე-4 გვერდზე

ემზადება თუ არა რუსეთი აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისთვის?

რას ფიქრობენ აფხაზეთიდან დევნილები რუსეთ-აფხაზეთის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ დოკუმენტზე

იხილეთ მე-3 გვერდზე

ჰოროსკოპი — გვ. 7 სკანვორდი — გვ.7 კროსვორდი — გვ. 7

რა საფრთხეებს ხედავს ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი ქონების 10 წლით გასხვისებაში?

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისის სასწრაფოს ახალი რეანიმობილებით მომსახურება დაიწყო

იხილეთ მე-2 გვერდზე

ფარულ მოსმენებზე ახალი რეგულაციების მიღება თებერვლის ბოლომდე გადაიდო

იხილეთ მე-4 გვერდზე

სიტყვას ითხოვს მკითხველი

„პირველი არხი“... ვისი არხი?!

იხილეთ მე-5 გვერდზე

ფოტოკონკურსი „ილო 2014“ დაიწყო!

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ქუთაისის სასწრაფომ ახალი რეანიმობილებით მომსახურება დაიწყო

ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს 4 ახალი რეანიმობილი გადაეცა. სამედიცინო ჯგუფები გამოძახებაზე ახალი რეანიმობილებით უკვე გავიდნენ. სამედიცინო პერსონალის განცხადებით, ახალი ტექნიკა მათ მდგომარეობას გააუმჯობესებს, რადგან გაუმართავი ავტომობილების გამო, გამოძახებაზე ხშირად დაგვიანებით უწევდათ მისვლა.

რაც შეეხება სამედიცინო ჯგუფებს, მათი რაოდენობის გაზრდა არ იგეგმება. როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების იმერეთის რეგიონის უფროსმა განაცხადა, ქუთაისის სასწრაფოს ძველი ავტომობილები იმერეთის რამდენიმე რაიონს გადაეცემა.

მიმდინარე წლის 1 აგვისტოს ქუთაისის სასწრაფო ბუხაიძის 12 ნომერში მდებარე შენობაში დაბრუნდა. როგორც მედპერსონალი აღნიშნავს, ახალ ცენტრში გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ და უმთავრეს პრობლემად დაბალ ხელფასებს ასახელებენ.

იმერეთის რეგიონს, ჯამში, 41 ახალი ავტომობილი გადაეცა, აქედან 9 ქუთაისს მოემსახურება. ავტომობილები ცენტრებში წლის ბოლომდე ეტაპობრივად შევა.

ქუთაისის სასწრაფოს ახალი რეანიმობილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა თეიმურაზ ხარაშვილმა, იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა, ქალაქის მერმა შოთა მურღულიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადასცეს.

როგორც მათ აღნიშნეს, პირველადი დახმარების პრობლემა ქალაქში მწვავედ იდგა, არ იყო გამართული ტექნიკა და წინა ხელისუფლების უპასუხისმგებლო გადაწყვეტილების გამო, სასწრაფო თავის შენობაშიც არ იმყოფებოდა. სახელმწიფოს გადაწყვეტილება ახალი რეანიმობილების გადაცემასთან დაკავშირებით მდგომარეობას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს, მომავალი წლიდან ექიმების გადამზადება დაიწყება და შესაძლოა, ხელფასების გაზრდაც მოხდეს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

„პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეამ შეაჩერა ქუთაისის და მთლიანად რეგიონის განვითარება"

ირღვევა თუ არა კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს თბილისში გადატანით?

საქართველოს მთავრობას ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ. კერძოდ კი, აღნიშნავენ, რომ საპარლამენტო სხდომების თბილისში ჩატარებითა და საკანონმდებლო ორგანოს დედაქალაქში დაბრუნების მცდელობით ირღვევა კონსტიტუციის 48-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქუთაისი და საკანონმდებლო ორგანოსთვის ადგილის შეცვლა მხოლოდ საომარი ვითარების შემთხვევაშია შესაძლებელი. პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მომხრეებმა მოძრაობა „დაიცავი კონსტიტუციის 48-ე მუხლი" დააფუძნეს. ორგანიზაცია ძალების მოკრებას რაიონებშიც ცდილობს, ადგილობრივებს იმერეთის რეგიონისთვის პარლამენტის როლსა და მნიშვნელობაზე მიაწვდიან ინფორმაციას. მათი თქმით, ქვეყნის თანაბარი განვითარება საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში ფუნქციონირებითაა შესაძლებელი.

***

პარლამენტის ქუთაისში დარჩენის მოთხოვნას, მომხრეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. როგორც ისინი აღნიშნავენ, საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში არსებობით, ქალაქში ორი წლის განმავლობაში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა, რადგან ეს თავშივე განწირული იდეა იყო.

რა მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისისა და, ზოგადად, იმერეთისთვის, რატომ ვერ მოხდა ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება და რა შეფერხებები გამოიწვია პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეამ? — ამ საკითხზე პოზიცია, ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი და რიგითი მოქალაქეები გვპასუხობენ.

ვანო ცერცვაძე, მოქალაქე: „ყველა მთავრობის პრობლემა ის არის, რომ მხოლოდ ერთმანეთთან ბრძოლით არიან დაკავებული და მთავარი საქმე, რისთვისაც ისინი ხალხმა აირჩია, ავიწყდებათ. დავუშვათ, ქუთაისში პარლამენტის გადმოტანა არ იყო სწორი, მაგრამ ხომ არის გადმოტანილი, რატომ არ შეიძლება, დავტოვოთ ამ ქალაქში? როდესაც ამბობენ, რომ წინა ხელისუფლებამ გაუმართლებელი ხარჯები გაიღო, ესენიც იგივეს არ აკეთებენ? მხოლოდ იმის გამო წაიღო პარლამენტი უკან, რომ ის „ნაციონალების" აშენებულია, არაა სწორი. რა მოხდება, ამ ქალაქში რომ იმუშაონ? თუ არ ავყვავდებით ქუთაისელები, იმით მაინც ვიამაყებთ, რომ მთავარი საკანონმდებლო ორგანო ჩვენს ქალაქში მუშაობს და უცხოელებიც გაიგებენ ჩვენი ქალაქის შესახებ. ვისზე ნაკლები ისტორია და კულტურა გვაქვს. მაგრამ არ უნდათ ხალხზე ზრუნვა, მხოლოდ პირად ინტერესებზე ფიქრობენ. უჭირთ თურმე რამდენიმე დღე ოჯახისგან მოშორებით ყოფნა. მაშინ იმ დედებმა რა თქვან, წლების განმავლობაში რომ არ უნახავთ შვილები და ოჯახს მოშორებულები არიან, რომლებიც იხდიან გადასახადებს, არჩენენ ქვეყანას, ამ ქვეყნის მთავრობას ერთი ქალაქიდან მეორეში სიარულიც არ უნდა?"

მერაბ ბარათაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩემი სახლია": „ხშირად უკითხავთ, რა მნიშვნელობა აქვს პარლამენტს ქუთაისისთვის და რა სარგებელი მოუტანა რეგიონს? მიუხედავად იმისა, რომ დეცენტრალიზაცია რეგიონის განვითარებისთვის მოხდა, ის ვერ იქნებოდა მომგებიანი იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ პირველივე სხდომაზე განაცხადა, რომ პარლამენტი ქუთაისში არ იმუშავებდა. ამან გამოიწვია უკვე არსებული მოლაპარაკებების შეჩერება. ინვესტორებმა უარი თქვეს ქუთაისში ინვესტიციის ჩადებაზე, რადგან წამგებიან ბიზნესად მოეჩვენათ. ერთი ასეთი მოლაპარაკებით ქუთაისში თანამედროვე ტიპის სასტუმრო უნდა აშენებულიყო. წყალტუბოში კი ინვესტორმა დაწყებული მშენებლობა მიატოვა, სადაც ორი მილიონი იყო გახარჯული.

პარლამენტის თბილისში დაბრუნების იდეამ შეაჩერა ქუთაისის და მთლიანად რეგიონის განვითარება. პარლამენტის ქუთაისში ყოფნა გამოიწვევდა იმერეთში ეკონომიკის, ტურიზმის და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ ყველაფერის შეფერხებას კი ხელი მთავრობამ შეუწყო, რომელიც დღიდან მოსვლისა აპელირებდა, რომ პარლამენტი ქუთაისში არ უნდა ყოფილიყო, რადგან ის „ნაციონალების" ინიციატივაა. მთავრობა უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლს, სადაც წერია, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი ქუთაისია."

ნატო ქათამაძე, „რესპუბლიკელი", ქუთაისის საკრებულოს წევრი: „ჩემი პოზიცია პარლამენტთან დაკავშირებით არაერთხელ დამიფიქსირებია. მაშინ, როდესაც პირველად გაჟღერდა იდეა, რომ პარლამენტი ქუთაისში უნდა ყოფილიყო, ვფიქრობ, ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც ამბობდა, რომ ეს იყო არასწორი მოსაზრება, რადგან პარლამენტი ქუთაისს ვერ განავითარებდა. მართალიც აღმოვჩნდი, რადგან ორი წელია პარლამენტი ქუთაისში, მაგრამ ამან ვერაფერი განსაკუთრებული ვერ შესძინა ჩვენს ქალაქს.

რაც შეეხება დარჩენას, პარლამენტი რომ დარჩეს ქუთაისში, ამისთვის ძალიან ბევრი რამ უნდა ყოფილიყო წინასწარ გაკეთებული. ჯერ ის, რომ ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგებულიყო. პარლამენტს კი არ უნდა მოყოლოდა ინფრასტრუქტურა, არამედ, ჯერ უნდა მოწესრიგებულიყო და შემდეგ გადმოტანილიყო საკანონმდებლო ორგანო. ბევრი შემთხვევა ვიცი, როდესაც დეპუტატები უცხოელ სტუმრებს ვერ იღებენ. ელემენტარული, არაა ნორმალური სასტუმრო ან ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლება სტუმრების მიღება. თუ არ ჩავთვლით პარლამენტის შენობას.

უფრო მნიშვნელოვანი რაც არის, მთავრობა — საკანონმდებლო და აღმასრულებელი ერთად უნდა იყოს. ვინაიდან მეტი კომუნიკაციაა საჭირო, ხშირად მინახავს მინისტრი ან მინისტრის მოადგილე ჩამოდის ქუთაისში ნახევარსაათიანი მოხსენებით, ვერ ხერხდება კომიტეტებზე მისი გატანა და ორი დღე უწევს ქუთაისში გაჩერება. მაშინ, როდესაც თბილისში ეს პროცესი მარტივად მოხერხდება და დროსაც უკეთესად გამოიყენებენ. მთავრობა ჩვენგან იღებს ხელფასს და იღებენ არა აქეთ-იქეთ სიარულში, არამედ — საქმის კეთებისთვის. თუ ამ საკითხს მივუდგებით სახელმწიფოებრივად, პარლამენტი უნდა იყოს თბილსში, მაგრამ როგორც ერთ რიგით ქუთაისელს მინდა, პარლამენტი იყოს ქუთაისში, თუმცა, ქვეყნის მომავლისთვის თბილისში ყოფნა ჯობია".

ქეთევან ბერძენიშვილი, ჟურნალისტი: „როგორც საზოგადოებას მოეხსენება, პარლამენტი ნაწილობრივ გადავიდა თბილისში, რის გამოც დაირღვა კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქუთაისი და საკანონმდებლო ორგანოს გადატანა მხოლოდ საომარი ვითარების დროსაა ნებადართული. სამწუხაროდ, თურმე დეპუტატების კრიტიკას მოუწესრიგებელი ქუთაისი იწვევს, რის გამოც დელეგაციების მიღება უჭირთ. ამ ყველაფრით კი შეურაცხყოფას გვაყენებენ ქუთაისელებს. ხშირად უთქვამთ, რომ თბილისი-ქუთაისის გზა იყო დამღლელი და ბიუჯეტისთვის დიდ ხარჯს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ბევრად მეტი ხარჯი გაიღეს თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის რემონტზე. დეპუტატებს კანონის დაცვისკენ, საზოგადოებას კი ჩვენს კამპანიაში ჩართვისკენ მოვუწოდებთ, რადგან პარლამენტი ქუთაისისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვინაიდან ამ ქალაქს განვითარების სხვა საშუალება არ აქვს. ეს არაა რომელიმე პარტიის მხარდაჭერა, არამედ ამ ქალაქის სიყვარულია, რომელსაც აქვს უფლება, იყოს წარმატებული და განვითარებული".

გიორგი ჭიქაბერიძე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე: პარლამენტის ქუთაისში დარჩენა-არდარჩენის საკითხს ჩვენ პოლიტიკურ შეფასებას ვერ მივცემთ და ვერ ვიტყვით, რატომ არის მნიშვნელოვანი ქუთაისისთვის და რა ზარალს იღებს ბიუჯეტი, მაგრამ რაც შეეხება სამართლებრივ შეფასებას, ვიტყვი, რომ საკანონმდებლო ორგანოს თბილისში ნაწილობრივ გადატანით და დედაქალაქში გასვლითი სხდომების ჩატარებით ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რაც სამართლებრივად ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს."

დავით დვალი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე: „მე, როგორც ქუთაისელს მინდა, რომ ყველა კარგი შენობა იყოს ქუთაისში. მოხდეს ჩემი ქალაქის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარება, ესაა ჩემი პოზიცია, მაგრამ ამ საკითხით სიმულიანტობის უფლებას არავის არ მივცემთ, იმიტომ, რომ რაც ხდება პარლამენტის გარშემო, ეს არა ქალაქის, არამედ — ერთი პარტიის მიმართ ერთგულებაა".

ნესტან ჩაგელიშვილი

რა საფრთხეებს ხედავს ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი ქონების 10 წლით გასხვისებაში?

ქუთაისის საკრებულოს რიგით მეხუთე სხდომის დღის წესრიგში არსებულმა საკითხმა — მოქალაქეებისთვის ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემამ — საკრებულოს დეპუტატებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

საკრებულოს წევრის, ნატო ქათამაძის განცხადებით, თვითმმართველობას მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით მეტი სიფრთხილე მართებს, ვინაიდან, შესაძლოა, ეს ქალაქისთვის საზიანო აღმოჩნდეს.

„ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას ვარ ძალიან ფრთხილი. ვინაიდან არსებობს მწარე პრაქტიკა წინა საკრებულოდან. დეპუტატები, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს, ასხვისებდნენ მიწებს, შემდეგ გასხვისებული ფართების მფლობელებად გვევლინებოდნენ. აქედან გამომდინარე, ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. თუ მერია თანხის გამო ასხვისებს მიწებს, თვეში 100 ლარი მიზერული თანხაა და ბიუჯეტს სარგებელს ვერ მოუტანს. მაგრამ, როდესაც მშენებლობა ხდება კიბის ქვეშ და ტროტუარზე, თან ვასხვისებთ 10 წლით, ეს დასაფიქრებელია, რადგან არავინ იცის, ათი წლის შემდეგ რა მოხდება. შეიძლება ისე განვითარდეს ქალაქი, რომ ეს შენობები ამახინჯებდეს მის იერსახეს, მაგრამ მეპატრონეს მის დანგრევას ვერ მოვთხოვთ," — განაცხადა **ნატო ქათამაძემ,** რომელმაც იმ დეპუტატების გვარებიც დაასახელა, რომლებიც, მისი თქმით, გასხვისებული ქონების უკან დგანან.

„დავით გოგისვანიძე, გია თევდორაძე, ტატო მესხი, ანდრო ლოსაბერიძე არიან ის დეპუტატები, რომლებიც გასხვისებული მიწების უკან დგანან. აღნიშნულ საკითხზე სპეციალური ჯგუფი იმუშავებს და ყველა ინფორმაცია საჯარო გახდება," — განაცხადა ქათამაძემ.

ოპონენტის ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს დავით გოგისვანიძე და აღნიშნავს, რომ ქათამაძემ არა ვარაუდებით, არამედ ფაქტებით უნდა ისაუბროს.

ნესტან ჩაგელიშვილი

როგორ უმკლავდებიან ადამიანთა უკულტურობას ქუთაისის დასუფთავების სამსახურში

ვარლამიშვილის სკვერის დანიშნულება დღემდე ნაგავსაყრელია...

პირველი გვერდიდან

„P.S. ფოტო" (ეკა შალამბერიძე) ©

სამსახურის უფროსი მალხაზ ბასილაძე ვარლამიშვილის ქუჩაზე არსებულ მძიმე მდგომარეობას გარემოვაჭრეების არაკეთილსინდისიერებით ხსნის, რომლებიც სკვერს ნარჩენებით აბინძურებენ. ბასილაძე სისუფთავის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარების იმედს უახლოეს მომავალში იტოვებს, რადგან მერიის მიერ გაიჯარებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის დასრულების შემდეგ, მოიჯარეს სკვერის მოვლა-პატრონობის ვალდებულებაც დაეკისრება.

„სკვერების დასუფთავებას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ქალაქ სერვისი" ახორციელებს. ყოველდღიურად ხდება სკვერიდან ნარჩენების გატანა, მაგრამ ეს ერთჯერადი დასუფთავებაც არ არის საკმარისი. აქ, ფაქტობრივად, მთელი დღე უნდა იდგეს ვინმე, ვინც ნარჩენებს გაიტანს. ამის ფინანსური რესურსი ჯერ არ გაგვაჩნია. სკვერი მართლაც დაბინძურებულია, მაგრამ ეს გარემოვაჭრეების არაკეთილსინდისიერების შედეგია, აქამდე მათი დაჯარიმებაც ვერ მოვახერხეთ, რადგან რთულია კონკრეტულ ფაქტზე გასვლა. მდგომარეობა უახლოეს პერიოდში უნდა გამოსწორდეს, რადგან სკვერი გაიჯარებულია და მოიჯარეს, მშენებლობის დასრულების შემდეგ, სკვერის მოვლა-პატრონობა ევალება," — აცხადებს **მალხაზ ბასილაძე.**

იქამდე კი, ვარლამიშვილის სკვერს, რომელიც ნაგავსაყრელთან ერთად, ღია საპირფარეშოდაც არის ქცეული, სამშენებლო ნარჩენებიც ემატება და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სკვერი, საიდანაც ჩრდილოეთ ნაწილში ბაგრატის ტაძრის ულამაზესი ხედი იშლება, უცხოელი ტურისტების ობიექტივში, დაყრილი ნაგვით ხვდება.

რაც შეეხება ქალაქის დასუფთავების ზოგად სურათს, როგორც მერიაში აცხადებენ, მდგომარეობა აქ გაცილებით უკეთესია და ქალაქის დასუფთავებაზე მუშაობა ყოველდღიურ რეჟიმში ხდება.

მალხაზ ბასილაძის ინფორმაციით, „კომპანია „ქალაქსერვისი" დღეში ორჯერ ახდენს ცენტრალური უბნების, ხოლო დღეში ერთხელ — პერიფერიების დასუფთავებას. ღამის საათებში ხდება ქუჩების ჩარეცხვა. დასუფთავების მხრივ ყველაფერი საჭიროების მიხედვით ხდება."

***

გურგენი ბაბუ ქალაქის სისუფთავეზე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ზრუნავს. ის, ბოლო რამდენიმე წელია, ქალაქის ცენტრალურ ბაღს ასუფთავებს და, როგორც ამბობს, ქუჩების თუ სკვერების დაბინძურებაში მთავარი დამნაშავე თავად მოქალაქეების კულტურა და თვითშეგნებაა, რადგანაც ზოგიერთ მათგანს ხელიდან ნარჩენების მოსაშორებლად, ურნის ნაცვლად, ქუჩა ეიოლება.

„ჩვენი სამუშაო დღე დილის 7 საათიდან იწყება, ყველანაირად ვუვლით სკვერს, თუმცა, ყოველდღიური დასუფთავების მიუხედავად, ძნელია, ადამიანების უკულტურობას გაუმკლავდე. ზოგი იცავს წესრიგს, უმეტესობა — არა. შე დალოცვილო, სკამზე რომ დაჯდები და ნაგავს ფეხების ქვეშ შეიყრი, წინ ურნა რომ გიდგას, წელი მოგწყდება, იქ რომ ჩაყარო ნარჩენები? ამას ზოგი აკეთებს, უმეტესობა კი — არა."

თუმცა უფრო კულტურულებსაც, ვისაც ნაგვის ურნაში ჩაგდება არ ეზარება, არსებული ურნების უმრავლესობა მწყობრიდან გამოსული, ფსკერგამოცლილი ფორმის გამო, ქუჩის უნებურად დამბინძურებლებს გახდის.

ქალაქში, სისუფთავით უკმაყოფილო მოქალაქეებთან ერთად, არიან ისეთებიც, რომლებიც გურგენი ბაბუს და სხვა დანარჩენების შრომას აფასებენ და, მათი აზრით, გასულ წლებთან შედარებით, ქალაქი დღეს გაცილებით სუფთაა.

მაგული დოლონაძე: „კმაყოფილი ვარ ქალაქის დასუფთავებით. ვფიქრობ, ამ კუთხით ქალაქში მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხშირად ვისვენებ ცენტრალურ ბულვარში და ვხედავ, როგორ იგვება, ყოველდღიურად გააქვთ ნარჩენებიც."

უშანგი ღიბრაძე: „არ ვიცი, რა ხდება გარეუბნებში, მაგრამ ცენტრალური ქუჩები საკმაოდ მოვლილია, სკვერშიც მეტი სისუფთავე იქნება, თუ ამ დაზიანებულ ურნებს გამოცვლიან."

ქუთაისის სუფთა ქალაქად გაქცევის სურვილით, ქალაქის მერიამ საჯარიმო სანქციებიც შემოიღო, ჯარიმის ოდენობას დანაგვიანების მასშტაბები განსაზღვრავს.

თუმცა, როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, პრაქტიკაში ფულადი დაჯარიმების შემთხვევები ჯერ არ აქვთ. მათივე შემოღებული შინაგანაწესის მიუხედავად, პირველ ეტაპზე გაფრთხილებას არჩევენ. ხოლო მათ, ვისაც საჯარიმო სანქციების დაკისრების ბერკეტი არ გააჩნიათ და ქალაქში სისუფთავეზე გული შესტკივათ, დაბინძურებას ასეთი ფორმით — „დედის დაფიცებით" ებრძვიან.

ვარლამიშვილის სკვერის ტერიტორია 2013 წელს აუქციონის წესით დაიჯარდა. მფლობელი შპს „გეგი 2013"-ია, რომელმაც ხელშეკრულების პირობების თანახმად ფართის იჯარით სარგებლობის სანაცვლოდ წელიწადში 12 550 ლარი უნდა გადაიხადოს.

აღნიშნული შპს ადგილზე საოფისე ფართს აშენებს, მშენებლობა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში დასრულდება. შპს „გეგი 2013"-ის დირექტორის გიორგი მიქაბერიძის ინფორმაციით, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ვარლამიშვილის სკვერის კეთილმოწყობა მოხდება, ამუშავდება შადრევანი, დაიგება ახალი ფილები და გაშენდება გამწვანება, მოიჯარე სკვერის დასუფთავებაზეც იზრუნებს.

„ხელშეკრულების თანახმად, სკვერის კეთილმოწყობის ვადა 2015 წლის ოქტომბრამდე გვაქვს, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ აქ მართლაც თვალშისაცემი სიბინძურეა და მოსახლეობის დიდი სურვილია, დასუფთავდეს სკვერი, ჩვენ ამ ვადებს არ დაველოდებით და შევეცდებით, რაც შეიძლება მალე ამ ადგილმა თავისი დანიშნულებისამებრ ლამაზი და მოვლილი სკვერის იერსახე მიიღოს," — აცხადებს **გიორგი მიქაბერიძე.**

ეკა შალამბერიძე

ემზადება თუ არა რუსეთი აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისთვის?

აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტში რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის" შესახებ შეთანხმების პროექტს განიხილავენ. შეთანხმების პროექტი, რომელიც 6 თავისა და 25 მუხლისგან შედგება, „აფსნიპრესის" ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და გაერთიანებული ჯარების დაჯგუფების შექმნას ითვალისწინებს.

შეთანხმების პროექტის მე-5, „თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ" მუხლი ითვალისწინებს რუსეთის შეიარაღებულ ძალებსა და აფხაზეთს შორის გაერთიანებული დაჯგუფების შექმნას „აგრესიის მოსაგერიებლად გაეროს წესდების მე-5 მუხლის თანახმად და ამ დაჯგუფების სამმართველოს ინფორმირებას".

გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებს საერთო თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნას და ერთობლივ მოქმედებებს აფხაზეთის ე.წ. საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ერთიანი სოციალური და ეკონომიკური, საერთო კულტურული და ჰ უმანიტარული სივრცეების შექმნას. ამავე პროექტით, რუსეთი ყოველმხრივ ხელს შეუწყობს აფხაზეთის საერთაშორისო კავშირების უზრუნველყოფას, მათ შორის იმ სახელმწიფოების წრის გაფართოებას, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ასევე, შექმნის წინაპირობას აფხაზეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის.

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერის, რაულ ხაჯიმბას განცხადებით, რომელიც ამ შეთანხმების პროექტის დე ფაქტო პარლამენტში განხილვას დაესწრო, შეთანხმება რუსეთის მხარემ მოამზადა და აფხაზეთში დიპლომატიური არხებით ჩაიტანეს.

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კი განაცხადეს, რომ აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს გაფართოებულ და შევსებულ ვარიანტს აფხაზეთთან 2008 წელს ხელმოწერილი შეთანხმებისა. მოსკოვში მიაჩნიათ, რომ შეთანხმების უდიდესი ნაწილი სოხუმში ნეგატიურ რეაქციას არ გამოიწვევს.

ოკუპირებული აფხაზეთის „პარლამენტმა" რუსეთთან „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმების" პროექტის საკუთარ ვარიანტში ცვლილებები შეიტანა და ის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას გადაუგზავნა. აფხაზურ ვარიანტში მოქალაქეობის შესახებ მე-14 პუნქტი მთლიანად ამოღებულია, ცვლილებებია შესული თავდაცვისა და საბაჟო სფეროებში და შეცვლილია ხელშეკრულების სახელწოდებაც — დოკუმენტს რუსების მიერ შეთავაზებული „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შეთანხმების" ნაცვლად „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება" ჰქვია. მიიღებს თუ არა რუსეთი ამ შეცვლილ ვარიანტს, ჯერ უცნობია.

რუსეთი აფხაზ ხალხს, ფაქტობრივად, მიერთებას სთავაზობს, მაგრამ მის მიერ შეთავაზებულ დოკუმენტს სახელად რუსეთ-აფხაზეთს შორის დაახლოების ხელშეკრულება ჰქვია.

ემზადება თუ არა რუსეთი აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისთვის და არის თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება აფხაზური ეთნოსის გადაშენების წინაპირობა?

ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსულ-აფხაზური შეთანხმების პროექტი გახდა ცნობილი. რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების შედეგი კი ასეთი იქნება: აფხაზეთზე თავდასხმა ავტომატურად ჩაითვლება რუსეთზე თავდასხმად; ე.წ. აფხაზური ჯარი გადავა რუსების მმართველობის ქვეშ; სამხედრო ინფრასტრუქტურა და მთლიანი სამხედრო მოწყობა ჩამოყალიბდება რუსეთის სამართლებრივი სისტემის მიხედვით; გაუქმდება „რუსულ-აფხაზური საზღვარი"; ძალები გადმოიწევს ენგურზე; რუსები გააკონტროლებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს; საბაჟო კანონმდებლობა და რეგულაციები მოეწყობა რუსული კანონმდებლობისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მიხედვით; საგადასახადო კანონმდებლობა მოეწყობა რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით...

ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოში 28 ოქტომბერს პრეზიდენტის მოწვევით ჩატარებულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ისაუბრეს. საბჭოს სხდომაზე აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ე.წ. მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების მოსალოდნელი გაფორმების საკითხი და პრემიერ-მინისტრის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული ავტონომია განიხილეს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 27 ოქტომბერს, ორწლიანი მუშაობის წარდგენისას, აფხაზების და ოსების მისამართით განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებლობის მოთხოვნა განუხორციელებელი გეგმაა და მათ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომია შეთავაზა.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა განმარტა, თუ რას გულისხმობს ირაკლი ღარიბაშვილის შეთავაზება და რითაა განსხვავებული აფხაზეთისთვის მანამდე არსებული ავტონომიისგან: „მან შეთავაზა ავტონომია ევროპული კონტექსტით, პერსპექტივებით. ჩვენ დღეს კონსტიტუციაში გვაქვს ავტონომიური რესპუბლიკა, ასე გვიწერია. უცნაურია თავისთავად, 1995 წელს, როდესაც კონსტიტუცია მიღებული იქნა, აფხაზეთი იყო ცალკე სახელწოდება ყოველგვარი ავტონომიის გარეშე და, თუ არ ვცდები, 2006-07 წელს უკვე შეიცვალა კონსტიტუცია და ჩაიწერა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

„ჭეშმარიტი მხატვრობა სუვენირებმა ჩაანაცვლა“

რა პრობლემები აქვთ ქუთაისელ მხატვრებს?

ქუთაისში მოღვაწე მხატვრები ხელოვანთა სალონის აღდგენას ითხოვენ, ეს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რაც ადგილობრივ ხელოვანებს აწუხებთ. მათ არა აქვთ სამხატვრო სალონი, სადაც პერიოდულად გამოიფინება მათი ნამუშევრები.

„P.S. ფოტო“ (ჟანა ჯანელიძე)©

ქალაქის მერი შოთა მურღულია მხატვართა კავშირის წევრების პრობლემებს 17 ოქტომბერს გაეცნო. მხატვრებთან შეხვედრა ქუთაისის მერიაში გაიმართა.

მათი საუბარი შეეხო ხელოვანთა სალონის აღდგენის საკითხს, სადაც გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. აგრეთვე — მხატვრების პერსონალური გამოფენების მოწყობის აუცილებლობას. შოთა მურღულიას თქმით, ყველა პრობლემურ საკითხზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და მათი მოგვარების მიზნით მხატვრებთან შეხვედრა მომავალშიც არაერთხელ გაიმართება.

სამხატვრო სალონის არქონა, არარსებული დაფინანსება და ნამუშევრების ნაკლები რეალიზაცია — ეს ის ძირითადი პრობლემებია, რაც აწუხებს დღეს ქუთაისელ ხელოვანებს.

სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელის, მოქანდაკე გიორგი კიკვაძის თქმით, მათ ქუთაისის მერი, შოთა მურღულია მომავალი წლისთვის ზემოთ აღნიშნული ყველა პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

„ფართის გამოყოფა, ნამუშევრების ქალაქგარეთ გატანა და დაფინანსება, რაც დაგვეხმარება ნახატების რეალიზაციაში, მეტი სტიმულის მომცემი იქნება ჩვენთვის. მხატვარს შესაბამისი გარემო სჭირდება სამუშაოდ,“ — განაცხადა გიორგი კიკვაძემ.

მისივე თქმით, დღეს ჭეშმარიტი მხატვრობა სუვენირებმა ჩაანაცვლა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნამდვილი მხატვრობის რეალიზაციას.

„ხალხი ნაკლებად ყიდულობს ნახატებს, მითუმეტეს, — ჩვენს პირობებში, როცა ამ ნახატების სახალხოდ გამოტანასაც ვერ ვახერხებთ, შესაბამისი ფართის არარსებობის გამო. ცნობილი მხატვარი ისედაც ახერხებს საკუთარი ნამუშევრების რეალიზაციას. მათ ნახატებს ყიდულობენ კერძო კოლექციონერები. თუმცა, არიან ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ საკუთარი შემოქმედების განთავსების ადგილი, სადაც წარმოდგენილი ექნებათ მუდმივი კოლექციები. შესაბამისად, საქართველოში ჩამოსული უცხოელები მხოლოდ გალერეას ათვალიერებენ და არ ჩანს, რა პირობებში უწევთ მხატვრებს საკუთარი ნამუშევრების შექმნა. შემდგომში კი იმედია, ეცოდინებათ, რომ არსებობს ქუთაისში ადგილი, სადაც შეძლებენ ადგილობრივი ხელოვანების შემოქმედების შეფასებას და შეძენას,“ — განაცხადა **გიორგი კიკვაძემ.**

ამ ეტაპზე ქუთაისელ მხატვრებს საკუთარი კერძო სტუდიები აქვთ, სადაც ინდივიდუალურად მუშაობენ. ზოგი ახლობლობით თავშეფარებული რომელიღაც ნახევრად დანგრეულ შენობაში, ზოგიც ქირით დროებით დამკვიდრებული. ჩაიკეტებიან ოთახებში და იღებენ იშვიათ შეკვეთებს, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი, მაშინ, როცა თავადვე უწევთ ნამუშევრისთვის საჭირო მასალის შეძენა, ფართის დაქირავება, შესაბამისი ინვენტარის მომარაგება და ა.შ.

მოქანდაკე გიორგი კიკვაძის თქმით, როცა ქუთაისში უცხოეთიდან საპატიო სტუმარი ჩამოდის, მერია ყიდულობს ხოლმე სასაჩუქრედ მათ ნამუშევრებს, თუმცა მერთან ბოლო შეხვედრისას მიიღეს პირობა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურ ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს ხელოვანებს, ხოლო ნახატების შეძენა მერიის მხრიდან სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

„ყველა თემაზე დადებითი პასუხი მივიღეთ. იმედი გვაქვს, მომავალ წელს უკეთეს გარემოში ვიმუშავებთ,“ — განაცხადა გიორგი კიკვაძემ.

დააფინანსებს თუ არა ქუთაისის მერია ადგილობრივ მხატვრებს და დაეხმარება თუ არა მათ ქალაქგარეთ ნამუშევრების გატანაში, ეს მომავალ წელს გაირკვევა, მანამდე კი ქუთაისელი მხატვრების ძირითადი შემოსავალი იშვიათი შეკვეთებია, ძირითადად ეკლესიების მიერ შეკვეთილი ხატები და ქანდაკებები.

მსგავსი პრობლემა აქვს მხატვართა ძირითად ნაწილს, მათ შორის, — ქუთაისში, წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე საკმაოდ შელანძღულ შენობაში მომუშავე სამ ახალგაზრდა ხელოვანს. რომლებიც გულდაწყვეტილები არიან იმის გამო, რომ შეკვეთებზე მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მათ შემოქმედებით წყურვილს.

„შეკვეთაზე როცა ვმუშაობთ, იმდენად ვერ ვიღებთ სულიერ სიამოვნებას, როცა ვხატავთ, ვძერწავთ, მთელ სულსა და გულს ვდებთ ჩვენს საქმეში. თუმცა, ხარჯს, რისი გაღებაც გვიწევს შესაბამისი ნამუშევრის შესაქმნელად, ვერ ავუდივართ,“ — განაცხადა მხატვარმა **გიორგი გამთენაძემ.**

ქუთაისის სამხატვრო გალერეაში წელიწადში ერთხელ ტარდება გამოფენა-გაყიდვა. თუმცა, გაყიდვა ხმამაღალი ნათქვამია, რეალიზაცია, ფაქტობრივად, არ ხდება.

„კარგი იქნება, გამოჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც რეალურად შეაფასებენ ჩვენს შრომას და შეიძენენ ნახატებს, ასევე კარგი იქნება, რომ გვქონდეს შესაბამისი ფართი, რაც უცხოელი დამთვალიერებლისთვისაც მისაღები იქნება და სამხატვრო სალონი შევა ქუთაისის ტურისტულ რუქაში. ეს ქალაქისთვისაც სახელი იქნება და ქვეყნისთვისაც,“ — განაცხადეს ახალგაზრდა მხატვრებმა.

შეასრულებს თუ არა ადგილობრივი ხელმძღვანელობა დანაპირებს, ამას ერთი წლის შემდეგ ვნახავთ. მხატვრები კი აგრძელებენ ენთუზიაზმით მუშაობას და იმედოვნებენ, რომ მომავალში ცოტათი მაინც გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა.

ჟანა ჯანელიძე

ფარულ მოსმენებზე ახალი რეგულაციების მიღება თებერვლის ბოლომდე გადაიდო

პარლამენტმა 65 ხმით 31-ის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფარულ მოსმენებზე ახალი რეგულაციების მიღება, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ ორგანოს უნდა ჰქონდეს პირდაპირი წვდომა მოსმენებზე, უზრუნველყოს 2015 წლის 28 თებერვლამდე, ნაცვლად აქამდე კანონით განსაზღვრული 1 ნოემბრისა.

თავდაპირველად შემოთავაზებული ვარიანტით, გადავადების თარიღად განსაზღვრული იყო 2015 წლის 1 აპრილი, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის წინადადების შემდეგ, რომელიც კენჭისყრის წინ გაკეთდა, საბოლოოდ ამ ვადამ ერთი თვით გადმოიწია.

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 28 თებერვლამდე შეუნარჩუნდება ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება ჰქონდეს პირდაპირი წვდომა სანქცირებულ ფარულ მოსმენებზე და ასევე უფლებამოსილება, რომ კოპირება გაუკეთოს და შეინახოს კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. დავით უსუფაშვილმა მიმართა პრეზიდენტ მარგველაშვილს, რომელსაც ამ საკითხის გადავადების მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციები და ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობა მოუწოდებს ვეტოს უფლება გამოიყენოს, შემჭიდროვებულ ვადებში მოაწეროს მიღებულ კანონპროექტს ხელი, რადგან ეს „სჭირდება სამართალდამცავის სისტემის ნორმალური ფუნქციონირების გაგრძელებას“. როდესაც პრეზიდენტ მარგველაშვილს 28 ოქტომბერს შესაძლო ვეტოს შესახებ ჰკითხეს, მან კონკრეტული პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. ვეტოს დადების შემთხვევაში, მის დაძლევას სულ ცოტა 76 დეპუტატის მხარდაჭერა დასჭირდება.

კანონპროექტის ინიციატორმა, დეპუტატმა შალვა შავგულიძემ „ქართული ოცნებიდან“ განაცხადა, რომ ვადის გადაწევის საჭიროება იმის გამო დადგა დღის წესრიგში, რომ იურიდიულ კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფში რაიმე ახალ რეგულაციებზე შეთანხმება და შესაბამისი კანონპროექტის მომზადება 1 ნოემბრამდე ვერ მოხერხდა — სწორედ ეს ვადა დაუწესა პარლამენტმა თავის თავს აგვისტოში, როცა ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა.

გადავადების საკითხს ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ცალკეული დეპუტატები „ქართული ოცნებიდან“, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობა და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

პარლამენტის თავმჯდომარემ კენჭისყრის წინ თავის გამოსვლაში „ამ მძიმე გადაწყვეტილების“ მოტივები ახსნა, რათა დაერწმუნებინა ოპონენტები მისი მიღების საჭიროებაში.

„ჩვენ გვიწევს გადავადება და ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს იმის აღიარება, რომ დიახ, ეს ჩვენი ბრალია“, — განაცხადა უსუფაშვილმა, „თუ ჩვენ ამ 1 ნოემბერს არ გავახანგრძლივებთ, მაშინ იურიდიულად დაგვრჩება ორი რეალობა: ერთი, პარლამენტს არ ექნება მიღებული არანაირი ახალი რეგულაციები და მეორე, საგამოძიებო ორგანოებს 1 ნოემბრიდან არ ექნებათ კანონიერი საფუძველი განახორციელონ ეს „ფარული საგამოძიებო“ მოქმედებები“.

„ჩვენ ამ გადაწყვეტილებით ორი რამ უნდა გავაკეთოთ: პირველი, არ დავაყენოთ „სამართალდამცავი“ სისტემა ძალიან რთული პრობლემების წინაშე და მეორე, ჩვენ შევინარჩუნოთ ამ საკითხის სწორად და, რაც შეიძლება, კარგად მოგვარების შესაძლებლობა. იმიტომ, რომ თუ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ ახლა და შეიქმნა სამართლებრივი ვაკუუმი, იმ ვაკუუმის პირობებში ამ საკითხის კარგად მოგვარების შანსი უდრის ნულს, რადგან 1 ნოემბრიდან ჩვენ ვალდებული ვიქნებით, რაც შეიძლება სწრაფად რაღაც წესები მოვიგონოთ, რომ სისტემამ გააგრძელოს მუშაობა და ის წესები ნამდვილად იქნება არასწორი და გაუაზრებელი“, — განაცხადა მან.

დავით უსუფაშვილი თავის გამოსვლაში ასევე კრიტიკულად შეეხო პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის 30 ოქტომბრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ის წინააღმდეგია შსს-ს ჩამოერთვას პირდაპირი წვდომა ფარულ მოსმენებზე. „მე არ ვთვლი, რომ პრემიერ-მინისტრის დღევანდელი განცხადება იყო საუკეთესო ნიმუში იმისკენ, რომ მოვძებნოთ კონსენსუსი, მაგრამ მისიც მესმის, რადგან ამ დღეებში გაისმა არაერთი კატეგორიული მოსაზრება“, — განაცხადა უსუფაშვილმა და „ყველას, ვინც ამ საკითხის სწორად მოგვარებით არის დაინტერესებული“ მოუწოდა „თავი შეიკავოს კატეგორიული მოსაზრებებისგან და წინასწარ გაცხადებული საბოლოო დასკვნებისგან და პოზიციებისგან“.

„პარლამენტს უნდა მოგვეცეს საშუალება, მივიღოთ გააზრებული გადაწყვეტილება“, — განაცხადა მან.

დეპუტატებმა „ნაციონალური მოძრაობიდან“, რომლებიც დებატების დროს აღიარებდნენ, რომ უკანონო ფარული მიყურადების პრობლემა მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არსებობდა, საკითხის გადავადების წინააღმდეგ მისცეს ხმა და ხელისუფლება დაადანაშაულეს იმაში, რომ მას არ აქვს პოლიტიკური ნება მოაგვაროს ეს საკითხი, რადგან არ სურს ხელიდან გაუშვას ბერკეტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთდროულად ათასობით აბონენტის მოსასმენად ჩართვა განხორციელდეს.

„დღეს პატივცემული კოლეგები ჩვენ გვეუბნებიან, რომ იმდენად მახინჯი სისტემა გვქონდა შექმნილი, რომ ამას თუ გადაწევთ, ქვეყანა დაიქცევაო. არადა, ჩვენ ვიცით, რომ მათ მიერ შექმნილი სისტემა გაცილებით სწრაფად იყო შესაცვლელი“, — განაცხადა ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ დავით უსუფაშვილმა.

civil.ge

ემზადება თუ არა რუსეთი აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისთვის?

მე-3 გვერდიდან

პრემიერი იქნება, თუ ვინც იქნება, ჩვენ ვალდებული ვართ, ვემორჩილებით კონსტიტუციას, ამ ტერმინოლოგიით ვილაპარაკოთ. იყო ავტონომია და იქნება ევროპული ავტონომია, ევროპული ხედვებით, ევროპული კონტექსტით და ფორმატით, როგორც ეკადრება და ღირსია ევროპული სახელმწიფო," — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში ავტონომია გამოყენებულია, როგორც ფართო ცნება, რადგან ევროპაში ავტონომიურობის უამრავი ფორმა არსებობს.

შეურიგდება თუ არა აფხაზი საზოგადოება რეგიონის დე ფაქტო ანექსიას? რატომ ვარაუდობენ სოხუმში სისხლისმღვრელ დაპირისპირებას და რას უპირისპირებს ქართული მხარე რუსეთის ზრახვებს?

ქართული მხარე, როგორც მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, ეწინააღმდეგება მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას რუსეთ-აფხაზეთს შორის.

ამის ნათელი დადასტურებაა „ნაციონალური მოძრაობის" მიერ 15 ნოემბერს დაგეგმილი აქცია.

განცხადებები გაკეთდა მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი აფხაზ ხალხს მიმართა და ავტონომია შესთავაზა, რაც შედარებით მისაღები წინადადება გახდა აფხაზებისათვის. ამბობენ, რომ, თუ კრემლის ზეწოლით ხელისუფლება შეთანხმებას ხელს მაინც მოაწერს, აფხაზეთში აუცილებლად დაიწყება ომი, რადგან მოსახლეობის 80-85 პროცენტს არ უნდა რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა.

ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა აფხაზეთში დიდ არეულობას გამოიწვევს, დაიძაბება სიტუაცია და სისხლისღვრა გარდაუვალი იქნება, რომ ეს ახალი ხელშეკრულება მიმართულია აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ეს რეგიონი ხდება რუსეთის საერთო ეკონომიკური და სამხედრო სივრცის ნაწილი.

როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულებით უკმაყოფილო არიან აფხაზებიც...

აქვს თუ არა აფხეზეთს სხვა არჩევანი? აქვს თუ არა ქართულ ხელისუფლებას ჩამოყალიბებული სტრატეგია, თუ რა უნდა გავაკეთოთ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით?

აშკარაა, რომ მათი პოზიციები ერთიანი არ არის, ამაზე ქართული მხარის საჯარო განცხადებებიც მეტყველებს. რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების" პროექტს სახიფათოდ მიიჩნევენ აფხაზეთშიც. პროექტს უკვე მოჰყვა როგორც პოლიტიკოსების, ასევე რიგითი მოქალაქეების მღელვარება.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა.

ჩავატარეთ გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი დევნილების განთავსების ადგილზე, ქალაქ წყალტუბოში.

სოფია ნავერიანი: „წინააღმდეგი ვარ რუსეთთან ყველანაირი კავშირის. მათი მიზეზით ვართ დღეს დევნილები და, როცა რუსეთი ოფიციალურად დაიქვემდებარებს აფხაზეთს, ჩვენი მშობლიური მიწის დაბრუნების იმედის მცირე ნაპერწკალიც გაგვიქრება. აფხაზები არ დაუშვებენ ამ ხელშეკრულების გაფორმებას."

ნათელა გელაშვილი: „ჩვენი ოჯახის წევრები აფხაზეთის მიწის დაცვას შეეწირნენ. რამდენმა დედამ დღემდე არ იცის მისი შვილის, მამის, ძმის საფლავი, რომ დაიტიროს მაინც. აქამდე გულს იმით ვიიმედებდით, რომ იქ დაღვრილი ქართული სისხლი უშედეგოდ არ ჩაივლიდა, რომ აფხაზეთის ომი არ იყო უაზრო ომი, თუმცა დღეს იქეთ მიდის საქმე, რომ ამაო ყოფილა ამდენი სისხლისღვრა. რუსეთი თუ აქამდე ნელ-ნელა გვაგუებდა აფხაზეთის დაკარგვას, ახლა ოფიციალურად უნდა მისი ქვეშევრდომი გაიხადოს."

თამაზ კვირიკაშვილი: „ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი აფხაზეთის დაკარგვის სიმწარე, დღემდე ჩემი მშობლიური მიწის მონატრებით მიდგას სული, ჩემს შვილებს და შვილიშვილებს ვაიმედებ და ვუნერგავ, რომ სადღაც, მათთვის უცხო მიწაზე მამაპაპური კუთხე ელოდებათ, რომელიც დროებით დავტოვეთ, თუმცა გამოდის, რომ ვატყუებდი საკუთარ თავს, ვატყუებდი მომავალ თაობას. ამ ხელშეკრულების გაფორმებას ნამდვილი აფხაზი არასოდეს დაუშვებს, რუსეთის მმართველები კი სისხლით გაუმაძღრები არიან, ამიტომ მშვიდობა ნამდვილად არ მოჰყვება ამ ვითომ „ურთიერთშეთანხმებას."

თამარ ჩიკვაიძე: „რუსები ყველანაირად ცდილობენ, ოფიციალურად ჩაიგდონ ხელში აფხაზეთი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთი მაინც აკონტროლებს აფხაზ ხალხს, მათ საბოლოო ანექსიას ვერავინ შეეგუება."

ჯუმბერ გურჩიანი: „ახალი ხრიკი მოუგონებია პუტინს აფხაზეთის დასამორჩილებლად. ჩვენ, აქ გადმოხვეწილ აფხაზებს, არ გვაქვს იმის საშუალება, რომ დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, თუმცა იქ დარჩენილები არ დაუშვებენ აფხაზეთის საბოლოო ანექსიას. სისხლი დაიღვრება და ეს სისხლი უკვალოდ არ დაიკარგება."

ჟანა ჯანელიძე

სიტყვას ითხოვს მკითხველი

„პირველი არხი"... ვისი არხი?!

შარშან რეპრესირებულებმა პარლამენტის შენობასთან აქცია გავმართეთ. საქმე ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან ჩვენი კომპენსაციების შეჭმის საკითხს. მიუხედავად მრავალი თხოვნისა და მათი მხრიდან შეპირებისა, აქციის გასაშუქებლად „პირველი არხი" ვერაფრით მივიყვანეთ. არც ამ თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გამართული პრესკონფერენციების გაშუქებაზე შეუწუხებიათ თავი ოდესმე.

იგი ხალხის გვერდით არასდროს დამდგარა. ამის ნათელი დადასტურება იყო ასევე ამა წლის 14 ოქტომბერს „მოამბეში" გასული სიუჟეტი, რომელიც წყალტუბოს მუზეუმის გასაჭირს შეეხებოდა. კერძოდ, საუბარი იყო, რომ სახურავიდან წყალი ჩამოდის და ექსპონატები ზიანდება, ადგილობრივი ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს და მარტო თანამშრომლები ცდილობენ კულტურის კერის გადარჩენას, მაგრამ არაფერი გამოსდითო...

ტელეეთერში გამომსვლელთა შორის იყო სამუზეუმო ქსელის უფროსი ია კუხალაშვილი. არადა, 4 წლის წინ, როცა მუზეუმი და ამავე შენობაში მოთავსებული ყოფილი კურორტის ბიბლიოთეკა შეაკეთეს და 136 ათასი ლარი გახარჯეს (თავიდან 200 ათასი ყოფილა გათვალისწინებული, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ესეც უკმარებია), მაშინ არავის გახსენებია, რომ მუზეუმს სახურავი ჰქონდა შესაკეთებელი, საგამოფენო დარბაზები ჰქონდა გასაფართოებელი და ასევე ექსპონატების დასაცავად ტემპერატურული რეჟიმი იყო საჭირო. არადა, 64 ათასი ლარი მორჩათ, ხოლო რაც გახარჯეს, ისიც არამიზნობრივად იქნა გამოყენებული. შენობაში სრულებით არ იყო საჭირო ორი მთავარი ბიბლიოთეკის გადატანა, რომელთაც საკუთარი ბინებიც და უკეთესი ადგილმდებარეობებიც ჰქონდათ და რომელთაგან ერთ-ერთის ბინა დღეს გაპარტახებულია (ნარკომანთა ბუდედ და საზოგადოებრივ ტუალეტადაა ქცეული და არც არავინაა გამკითხავი). ასევე აუცილებლობას არ წარმოადგენდა იქ აიპ „სამუზეუმო და საბიბლიოთეკო გაერთიანების" თანამშრომელთა გადაყვანა, მით უმეტეს, გაერთიანების ხელმძღვანელი ირმა კილასონია მაშინ ეწინააღმდეგებოდა ამას.

აი, როდის უნდა გამოეფხიკათ ყურები ზოგიერთებს, მაგრამ იმ დროს, როცა ამ ამბებთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემებზე გაზეთებში წერილებს ვაქვეყნებდი და ერთხელ ტელეკომპანია „პირველი არხიც" მოვიყვანე აქ მდგომარეობის გამოსასწორებლად, და ასევე, ერთხელ, წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელს ქუთაისის რაიონულ პროკურატურაშიც კი ვუჩივლე მუზეუმ-ბიბლიოთეკის მიმართულებით სამგზავრო ტრანსპორტის არ დანიშვნისათვის. მაშინდელი (და ახლანდელი) სამუზეუმო ქსელის უფროსი ია კუხალაშვილი ქება-დიდებას ასხამდა როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე მშენებლებს და ბრმად მოიხსენიებდა ყველას, ვინც მათ რაიმეში ედავებოდა. აი, რას წერდა იგი გაზეთ „წყალტუბოს" 2010 წლის 8 თებერვლის ნომერში: „... ბრმა უნდა იყო, ან ძალით იბრმავებდე თვალებს, რომ ვერ შეამჩნიო სასიკეთო ძვრები ქალაქში... დაიგო ახალი ასფალტის საფარი... შენდება და მშვენდება ახალი ბიბლიოთეკები და კლუბები... ბევრი რამ გაკეთდა კურორტის ახალი ბიბლიოთეკისთვისაც, მალე აქ წყალტუბოს მთავარი ბიბლიოთეკა დაიდებს ბინას. მავანს და მავანს იქნებ ვინმესთვის გუნდრუკის კმევად მოეჩვენოს ეს წერილი. აკი ბევრჯერ შემატოვეს ბაგეზე სათქმელად მომზადებული მადლიერების სიტყვა ჩემი ქალაქის ხელმძღვანელებზე"...

შემდეგ ქალბატონი ია ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ როგორ ხელმძღვანელობდა შაბათ (დასვენების) დღეს გამგებლის მოადგილე ზურაბ ჯიმშელეიშვილი (თანაც დილით ადრე!) ეზოს გასაწმენდად შემოსულ ტრაქტორს; თუ როგორ მივიდა მაშინდელი პასუხისმგებელი მუშაკი ზურაბ ჯანელიძე 31 დეკემბერს ღამის 11 საათზე: — „დღე ვერ ვიცლი და ახლა მინდა ვნახო, სამუშაოებს რა მიამატესო". და ასევე თუ როგორ დარბოდა ქალაქის კულტურის განყოფილების გამგე — ლილი გედენიძე ცოცხით ხელში ბიბლიოთეკასა და მუზეუმს შორის დასასუფთავებლად. იქვე ჩამოთვლილია ასევე საკრებულოსა და გამგეობის 20-მდე თანამშრომელი, რომელთაც ლამის ამ მუზეუმში დაუდიათ ბინა. ასევე, აღნიშნულია სამი მამუკას ღვაწლზე (როგორც სამების ჰიპოსტაზებზე), ყოველდღე მობილიზებულ ქალაქის დასუფთავების სამსახურისა თუ სახანძრო რაზმის საქმიანობაზე (ეტყობა მუშაობის ისეთი ცეცხლი დაანთეს იქ ამ ხალხმა, რომ საჭირო ხდებოდა მისი ხანდახან წყლით განელება). ოღონდ ერთი რამ არ მესმის: ტენდერში გამარჯვებული ხომ მხოლოდ ერთი კომპანია იყო და არა მთელი ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელობა? თუ ესენიც წილში ისხდნენ მათთან. არ ეწყინოთ და ზემოთ ჩამოთვლილი ხელისუფალნი საკუთარ მოვალეობებსაც ვერ ასრულებდნენ, როცა რაიმე საკითხზე მიმართავდი და აქ რამ გადარიათ? ასეა თუ ისე, მოკლედ რომ ვთქვათ, ქებადიდების ჰიმნია მიძღვნილი სრულიად მთელი წყალტუბოს მაშინდელი ხელისუფლების მიმართ, „მავანთა და მავანთა" გულის გასახეთქად.

და აი, ამ ტაკიმასხრობის შედეგი: გზა მუზეუმის მიმართულებით დღესაც არაა დასრულებული, და არც ტრანსპორტი დადის იქ დღეს ნორმალურად, რაზედაც ერთ დროს მე იმდენს ვჩხუბობდი გაზეთებში, ტელევიზიაში და პროკურატურაში. შენობის სახურავიდანაც წყალი ჩადის, საგამოფენო დარბაზების არასაკმარისი ფართის გამო, ექსპონატები საწყობში უწყვიათ, ახალი ხელისუფლებიდან კი საყვედურებით შველას ითხოვენ, თან ჩივიან, რომ არავინ დადის მუზეუმის დასათვალიერებლადო.

მოკლედ, მართლა ბრმა თუ არ არის ადამიანი, ნათლად დაინახავს, თუ ვინ მიიყვანა წყალტუბო თავის მუზეუმ-ბიბლიოთეკებ-საკონცერტო დარბაზ-ქუჩებ-სანატორიუმებიანად სრულ განადგურებამდე, ხოლო ახალი ხელისუფლების დანაშაული კი ის არის, რომ არ მიმდინარეობს კვლევა-ძიება იმ ძარცვა-გლეჯისა, რაც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

„პირველ არხს" კი მოვუწოდებდი, შეეცნოს თავისი მისია, რომ ის საზოგადოებრივი არხია და არა „ნაციონალი" პარტიულებისა, რომ ისინი ხალხის ფულით ფინანსდებიან და ხალხს უნდა ემსახურონ.

მევლუდ ბობოხიძე

როგორ გვესმის ადგილობრივი თვითმმართველობა და რას ვითხოვთ მისგან

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც სახელმწიფო მოწყობის, სახელმწიფოს ინსტიტუციონალური განვითარების, ასევე მმართველობაში საზოგადოების ჩართულობის მხრივ. ეს ურიგო არაა დემოკრატიის განვითარებისთვის — ფაქტია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოკრატიისთვის უკვე გადავდგით საკმაოდ დიდი ნაბიჯი, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივი კუთხით. ახლა დადგა ჯერი სამართლებრივი საკითხების ეფექტურად განხორციელებისა, რისთვისაც, ჩვენი აზრით, აუცილებლობას წარმოადგენს ცნობიერების ამაღლების პროცესის დაწყება მთელი ქვეყნისათვის, ანუ სამივე სექტორის — სამთავრობო, ბიზნეს და საზოგადოებრივი სექტორების წარმომადგენლებისათვის, რაც, ჩვენი აზრით, გამოიხატება შემდეგში:

• ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სამოქმედო გეგმის შედგენა რეალური შესაძლებლობათა და პერიოდის განსაზღვრით;

• მართვის სისტემის პრინციპების შესახებ სისტემატიური ინფორმირებულობა საზოგადოებაზე ყველა საშუალებითა და ხერხებით;

• სამოქმედო გეგმის შესრულების სისტემური ინფორმირებულობა საზოგადოებისათვის დაგეგმილი და მიღებული შედეგების მიხედვით გეგმის კორექტირებაში საზოგადოების ჩართვის აუცილებლობით;

• მაქსიმალური გამჭვირვალობის ხერხების გამოყენებით საზოგადოების ინფორმირებულობისათვის და მისგან ჩართულობის მოთხოვნა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ;

• მაქსიმალური ხელშეწყობა თვითმმართველობის რეფორმის პროცესებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საკითხით დაინტერესებისათვის მომუშავეთათვის (ჩართულობის ცენტრი, ჟვანიას სახელობის სკოლა, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, უნივერსიტეტები, ახალგაზრდული ორგანიზაციები). ხელშემწყობი პირობების შექმნა დაწყებული ერთობლივი თანამშრომლობიდან, დამთავრებული საჯარო დისკუსიებამდე;

• სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილებათა გაზიარება, რა არის უკეთესი და რა უნდა გადმოვიღოთ, რა არის უარესი და არ არ უნდა გავაკეთოთ.

ვისაც გამოუჩენია ინტერესი და დაუწყია თვითმმართველობის შესახებ ინფორმაციათა მოძიება, მან საკმაოდ ბევრი უცხო და საზოგადოებისათვის სასარგებლო პროცესები გაიგო სახელმწიფო მოწყობის აღნიშნულ სისტემაზე, მის ძირითად პრინციპებზე და მიღებულ შედეგებზე. პირველს, რასაც დაასკვნის ინტერესის მქონე პიროვნება, ესაა შემდეგი:

• თვითმმართველი ორგანოს მმართველი ორგანო და მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები ნორმალურად წარმოადგენენ პარტნიორებს, რომლებიც ერთად გეგმავენ, ასრულებენ, აკონტროლებენ და აფასებენ შესრულებულ სამუშაოებს, ასევე ერთად იზიარებენ პასუხისმგებლობას ტერიტორიული ერთეულის მოწყობაზე. აღნიშნული პრინციპი ხელს უწობს დემოკრატიული პრინციპის განხორციელებას ხალხთან — ანუ „დემოსთან“ ერთად. აღნიშნული პრინციპების ეფექტურად განვითარებისა და მისგან მაქსიმალური მოგების მიღებისათის აუცილებლობას წარმოადგენს, კარგად ვიცოდეთ ის აუცილებელი პრინციპები, რაც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე ფუნდამენტს და ღირებულებას საერთოდ, განსაკუთრებით, ევროკავშირის სივრცეში, საითკენაც მივისწრაფვით.

• თვითმმართველობის განხორციელების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს დეცენტრალიზაცია, დეკონცენტრაცია და სუბსიდიარება.

ნება მიბოძეთ, განვმარტოთ თითოეული სიტყვის არსი, რას ნიშნავს იგი და როგორ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაზე.

ა) დეცენტრალიზაცია

საქართველოში სახელმწიფო მართვის სამი დონეა — ცენტრალური, ანუ ეროვნული, რეგიონული, ანუ ავტონომიური, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობა. ყველა დონის მმართველობა დაკავებულია თავისი შესაბამისობით მართვის პროცესში ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისათვის, რაც ხდება უფლება-მოვალეობათა განაწილების პრინციპით, ანუ გამომდინარე აწთქმულიდან, მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის პროცესი. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ — დეცენტრალიზაცია წარმოადგენს უფლებამოსილებათა გადანაწილების პრინციპს იერარქიულად დამოუკიდებელ ხელისუფლების დონეებს შორის, რომელთა ძალაუფლების წყაროს ხალხი წარმოადგენს.

დეცენტრალიზაცია თავის მხრივ მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს — პოლიტიკურს, ადმინისტრაციულს და ფისკალურს. განვიხილოთ ისინი სათითაოდ:

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევას და მართვის საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში პოლიტიკური გადაწყვეტილებათა მიღების უფლებების მინიჭებას.

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია ნიშნავს თვითმმართველობის ორგანოებისათვის ფართო უფლებამოსილებათა გადაცემას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათ შორის — სახელმწიფო საქმეების მართვისა და საჯარო მომსახურების სფეროში.

ფისკალური დეცენტრალიზაცია — თვითმმართველობისათვის კომპეტენციათა განხორციელებისათვის საჭირო ფინანსების გადაცემა.

ბ) დეკონცენტრაცია წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციების ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიებზე მათი წარმომადგენლობის ფორმირებას მოქნილი და ეფექტური მართვისა და ხალხთან დაახლოების მიზნით, ისინი არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს და ატარებენ ერთიან საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. ასეთი მაგალითებია იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამოქალაქო რეესტრი, ისინი ერთნაირი სისტემით, ერთიანი სახელმწიფო ფორმით და ერთიანი პოლიტიკით ასრულებენ საჯარო თუ სამოქალაქო საკითხების რეგულირებას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც არ უნდა იყვეს ის განთავსებული — ფოთში, ქუთაისში, თელავსა თუ მესტიაში.

გ) სუბსიდიარობა, ანუ დაბალი მმართველობის დონეების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულობა.

ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა დ. მონაგმა გამოთქვა ასეთი აზრი — „არასდროს დააკისროთ დიდ ერთეულს იმის გაკეთება, რაც მცირე ერთეულსაც შეუძლია, რისი გაკეთებაც ოჯახს შეუძლია, მუნიციპალიტეტს არ უნდა გავაკეთებინოთ, რისი გაკეთებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია, სახელმწიფომ არ უნდა შეასრულოს“.

განიხილავდა რა ევროპის გამოცდილებებსა და ფედერალისტურ მოძრაობას დუსან სადინსკი, ის მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „სუბსიდიარობის პრინციპი ერთდროულად ახალი კომპეტენციათა ათვისებისაკენ ერთდროულად მიმართული სწორი გზაცაა და ცენტრალური მმართველობის უაზრო ეიფორიისაგან თავის დაღწევის შესანიშნავი მეთოდიც“.

დადებითი და მიმზიდველი გამონათქვამების გარდა, არსებობს ისეთი დამაფიქრებელი აზრებიც, რომლებიც შეიძლება მოვიხმოთ. ცნობილმა ევროპელმა პოლიტიკოსმა ჟაკ დელორმა გამოთქვა შემდეგი: „ყველა ფედერალური წყობის სისტემაში, ისეთში, როგორიცაა — ევროპული საზოგადოება სუბსიდიარების პრინციპი, მუდმივად წინააღმდეგობაში იმყოფება გადამეტებული ძალაუფლების მექანიზმებთან, რაც ცენტრალური ხელისუფლების ზედმეტად გადატვირთვას იწვევს“.

მოკლედ და კონკრეტულად ქართულად სუბსიდიარება შეიძლება ასე გავიგოთ — ის, რაც შეიძლება აკეთოს დაბალი დონის მმართველობითმა ორგანომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოს მასზე იერარქიულად ზემოთ მდგომმა დონის მმართველობამ, ანუ ჩემ საქმეში არავის არაფერი არ ესაქმება.

ამდენად, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავიგოთ ერთი ძირითადი პრინციპი, რომ სუბსიდიარების პროცესი ნამდვილად მოითხოვს ღრმა ჩაფიქრებას, დახვეწას, გონივრულად და ბრძნულად მისადაგებას ადგილობრივი პირობებისათვის. ეს კომპონენტი ნამდვილად განსხვავდება ისეთი გამოცდილი, დახვეწილი და გამომდგარი პრინციპიდან, როგორიცაა დეკონცენტრაცია, რომელიც გვხვდებოდა ადრინდელ სისტემებშიც.

ჩვენ განვიხილეთ თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები, ახლა გთავაზობთ მეორე მონახაზს იმის შესახებ, თუ რას ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობა და რითია ის უკეთესი ყოფილ სახელმწიფო მოწყობაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის დაახლოება მოსახლეობასთან, იგი მოიცავს ორ ძირითად ფუნქციას: 1. ადგილობრივი სერვისების მიწოდება მოსახლეობაზე და 2. მოსახლეობასთან სიახლოვე, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ფუნქცია ერთმანეთზე დამოკიდებული და აუცილებელი პირობაა.

1. სერვისების მიწოდება

ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილების (კომუნალური მეურნეობა, სოციალური საკითხები, ქალაქმოწყობა, ადმინისტრირება, საქალაქო განვითარება და სხვა) მიწოდების უზრუნველყოფა. დასავლეთის პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ სწორედ აღნიშნული მეთოდით ხდება შესაძლებელი ეფექტურობის, ასევე ეფექტიანობის მაღალი ხარისხის მიღწევა, სხვა დანარჩენ მეთოდებთან შედარებით.

2. მოსახლეობასთან სიახლოვე

ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველდღიური, უშუალო კონტაქტი მოსახლეობასთან, პრობლემების დინამიკის ყოველდღიური მონიტორინგის ნებითი თუ უნებლიე შესაძლებლობა როგორც ქალაქის ადმინისტრაციიდან, ასევე მის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებლების მხრიდან და შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ყოველდღიური ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრები იწვევს მოსახლეობასთან სიახლოვეს.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი კომპონენტებისაგან ნამდვილად შორს დგას რეგიონული თუ ცენტრალური ხელისუფლება და კონკრეტული მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესაძლებლობა ზედა დონის მმართველობასთან ყოველდღიური ურთიერთობისა.

ამდენად, მოსახლეობასთან ნებსითი თუ უნებლიე სიახლოვე ნამდვილად წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს ჩვენი სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრინციპების ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველად მიგვაჩნია, ქუთაისის მოსახლეობამ რაც შეიძლება სწრაფად აიმაღლოს ცნობიერება ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი, პრინციპიალური, ფუნქციონალური მოთხოვნები და არსი. ასევე სასურველია, ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული ჩამოყალიბება და შესაბამისი კადრებით დაკომპლექტება, რათა მოსახლეობას მიეცეს საშუალება ჩამოაყალიბოს მასთან პარტნიორული დამოკიდებულება.

ჩვენის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები ვიზრუნებთ პროცესის სამართლიანად წარმართვისათვის ვაწარმოოთ მონიტორინგი და ჩავერთოთ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით, გამომდინარე ჩვენი შესაძლებლობებიდან.

ზაზა ხელაძე

სტატია დამუშავდა პროექტის „მივიტანოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი ქუთაისელებამდე“ ფარგლებში, რომელიც სრულდება იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაციის მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდთან პარტნიორობით, რასაც დიდი მადლიერების გრძნობით ავღნიშნავთ.

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: თქვენ გარშემო ყველაფერი იცვლება სასიკეთოდ. ბოლოს და ბოლოს თქვენ ცოტათი დაწყნარდებით. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

კუროო: ზედმეტად თავდაჯერებული და დაუფიქრებელი ქმედებები იმედგაცრუებას მოგიტანთ. გარდა ამისა, მატულობს სეზონური დაავადების ალბათობა. ამ კვირაში სასიამოვნო სიახლეს გაიგებთ, რომელსაც მეგობრები შეგატყობინებენ.

ტყუპები: იქნებით წამყვანი ფიგურა თქვენ გარშემო არსებულ პროცესებში. აქედან გამომდინარე, შეეცადეთ, საკუთარ იმიჯზე იზრუნოთ, მიხედეთ ვარცხნილობას და განაახლეთ გარდერობი. მთავარია, ბევრი ფიქრის გამო დრო არ დაკარგოთ.

კირჩხიბი: პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, აღარ განიჭებთ სიამოვნებას და ახალი რომანი გააბით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

ლომი: არაა ხელსაყრელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის. ნუ დაივიწყებთ, რომ რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე, აუცილებელია სიტუაციის ყურადღებით შესწავლა. ყურადღება მიაქციეთ ახლობლებს, ისინი დახმარებას გთხოვენ და არ გააწბილოთ.

ქალწული: სახლი და საოჯახო პრობლემები ამ დღეს თქვენთვის მთავარი საზრუნავია. ეცადეთ, თავზე არ აიღოთ ისეთი საქმის შესრულება, რომელიც თქვენს ძალებს აღემატება. ისწავლეთ კომპრომისზე წასვლა.

სასწორი: თუ ნოსტალგიამ შეგიპყროთ, მოინახულეთ დიდი ხნის უნახავი მეგობრები. თუ საკუთარ თავში ჩაღრმავების სურვილი გაგიჩნდებათ, მრავალ კითხვაზე შეძლებთ პასუხის გაცემას. არ დაგავიწყდეთ სპორტი.

მორიელი: მცირედი პრობლემების მიუხედავად, წინ წარმატებული დღეები გელით. დრო გამონახეთ შოპინგებისთვის. საყვარელ ადამიანთან კონფლიქტებს ერიდეთ.

მშვილდოსანი: შესაძლებელია, თქვენს ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები განხორციელდეს. საყვარელ ადამიანთან ხანგრძლივად დაშორებას ერიდეთ. ამ კვირაში მოვლენები ელვისებურად განვითარდება, ამიტომ შეინარჩუნეთ სიმშვიდე და არ აჰყვეთ გრძნობებს.

თხის რქა: აქცენტი ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გაიკეთეთ. ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. შესაძლებელია იმ ადამიანს შეხვდეთ, ვისაც დიდი ხანია არ ელაპარაკებით, გადადგით ნაბიჯი შერიგებისკენ და ნახავთ, თუ როგორ სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ.

მერწყული: გამოიჩინეთ სიფრთხილე, თქვენში დაგროვილი ენერგიის დახარჯვისას შესაძლებელია, საკმაოდ ბევრი სისულელე ჩაიდინოთ.

თევზები: თქვენი შრომისმოყვარეობა უსაზღვრო იქნება. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ როგორ ჩარჩოებში, ვისთან და რისთვის უნდა იშრომოთ. ერთობლივ მოქმედებებს უფრო მეტი შედეგი ექნება და საქმის სიმძიმეს სხვასაც გადაუნაწილებთ.

ფოტოკონკურსი „ილო 2014“ დაიწყო!

საერთაშორისო ფოტოკონკურსი „ილო“ 2007 წლიდან ყოველწლიურად იმართება ქუთაისში. ფოტოკონკურს „ილოს“ ორგანიზებას ქალაქის მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური უწევს. ფოტოკონკურსი ქუთაისელი კოლორიტის, ილო ხახიაშვილის სახელს ატარებს, რომლის ფოტოატელიეეც ათწლეულების განმავლობაში ქალაქის ცხოვრების ერთგვარი მემატიანე იყო.

ფოტოკონკურს „ილოს“ მიზანია, გამოავლინოს ნიჭიერი ფოტოგრაფები და სტიმული მისცეს ქუთაისში ფოტოხელოვნების განვითარებას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ფოტოგრაფებს. კონკურსში გამარჯვებულთათვის — I, II და III ადგილის მფლობელებისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდოები. 2011 წლიდან ფოტოკონკურს „ილოს“ ახალი ნომინაცია „ხალხის სიმპატია“ დაემატა, რომლის გამარჯვებულიც სოციალურ ქსელ www.facebook.com-ზე მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის გვერდზე განთავსებული სურათების მოწონებათა რაოდენობით გამოვლინდება. იმავე წლიდან ტრადიციად იქცა კონკურსში შემოსული ნამუშევრებით მომავალი წლის კალენდრის გამოცემა.



წლევანდელი ფოტოკონკურსის სიახლე დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ 2014 წელი ქართველ და ებრაელ ხალხს შორის 26 საუკუნოვანი მეგობრობის აღნიშვნის წლად არის გამოცხადებული. ილო ხახიაშვილი თავისი კოლორიტული ფოტოატელიეთი, სადაც მთელი ქუთაისი იყრიდა თავს, ათწლეულების მანძილზე ერთგვარი ხიდი იყო ამ ორ მეგობრულ ერს შორის. სწორედ აქედან გამომდინარე, ფოტოკონკურს „ილოს“ წელს დაემატა რუბრიკა „ებრაული ფერები ქართულ პალიტრაზე“, რომლის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ის ფოტონამუშევრები, რომლებიც ქართულ სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, არქიტექტურასა თუ ადამიანურ პორტრეტებში ებრაელი ერის დამახასიათებელ ხასიათსა და კოლორიტს წარმოაჩენენ ფოტოგრაფიის, როგორც ხელოვნების და მედიუმის საშუალებით.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 m^2 არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 m^2 ოთახი+16m^2 სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმონერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

3.11.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** ამოიცნეს გიორგი სვანაძემ და მეგი ხორავამ.

რას დაარქმევდით?

შსს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიგი უგულავა

„პოლიტიკურ სამარეში ჩასარეცხი მოურჩენელი სიმსივნე“.

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ფრანგი ქიმიკოსი. ახლდა ნაპოლეონს ეგვიპტეში; 5. „... პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“ (აკაკი); 6. ნუსხა, ჩამონათვალი; 8. საყელოზე შემოვლებული თბილი ბეწვი; 9. ქიაჩელის რომანი „ტარიელ ...“; 11. პოეტი ირაკლი...

ვერტიკალურად: 1. მაღალი ხარისხის მინა; 2. ქალაქი ... ანჯელესი; 3. ქვეყანა ანტიგუა და ...; 4. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი; 7. ქალაქი თურქეთში; 10. ... ძე დუნი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად:
3. მთვარის; 5. ათასი; 6. უფა; 8. მაკ; 9. ლაიკა; 11. სასახლე.
ვერტიკალურად:
1. კვასი; 2. ურო; 3. მათრახი; 4. სოფოკლე; 7. თანხა; 10. ასო.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ „ქართული ღვინის კონკურსი•თბილისი 2014“-ის გამარჯვებულები გამოავლინა

„თბილისობა 2014“-ის ფარგლებში, პირველად საქართველოში, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა „ქართული ღვინის კონკურსი“, სადაც საქართველოში საცალო ვაჭრობაში წარმოდგენილი ყველა სახის ღვინო მონაწილეობდა.

კონკურსის პირველი ტური 22 ოქტომბერს გაიმართა, სადაც პროფესიულმა ჟიურიმ, — ენოლოგებისა (მ.შ. სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის წევრების) და სომელიეების შემადგენლობით, 300-ზე მეტი ღვინოდან 61 საუკეთესო ამოარჩია. ხოლო 24 ოქტომბერს, კონკურსის მეორე ტურში, პროფესიულ ჟიურისთან ერთად, მედია ჟიურიც არჩევდა საუკეთესო ღვინოებს და მედიარჩეული ღვინოებიც გამოავლინა.

26 ოქტომბერს, რესტორან „ქალაქურში“ კონკურსის შედეგები საზეიმოდ გამოცხადდა. გამარჯვებული კომპანიები სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანებმა დააჯილდოვეს.

დაჯილდოვების საზეიმო ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ მაია ბარათაშვილი, თამთა ცხვიტავა და ჯაზბენდი „big band“.

იმავე დღეს, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ დაფუძნდა „ღვინის ორდენი“, რომელიც, წელს პირველად, ბოლო დროს ღვინის სფეროში განხორციელებული განსაკუთრებული საქმიანობისთვის 3 პიროვნებას — ნუგზარ ქსოვრელს, ბონდო კალანდაძეს და მეუფე დავით ალავერდელს გადაეცა.

„ქართული ღვინის კონკურსის“ გამარჯვებული კომპანიების ჩამონათვალი ასეთია

პროფესიონალური ჟიურის არჩევანი:

I კატეგორია — საუკეთესო წინანდალი
1. კორპორაცია ქინძმარაული
2. GWS-ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია

II კატეგორია — საუკეთესო კახური თეთრი ღვინო
1. თელიანი ველი, გლეხური/რქაწითელი

III კატეგორია — საუკეთესო საფერავი
1. კომპანია „კახური“
2. კომპანია „თბილღვინო“

IV კატეგორია — საუკეთესო პრემიალური საფერავი
1. ბადაგონი
2. თელავის ღვინის მარანი/სატრაპეზო
3. კომპანია „თელედა“
4. მილდიანი

V კატეგორია — საუკეთესო მუკუზანი
1. კომპანია „შუმი“
2. თელიანი ველი

VI კატეგორია — საუკეთესო ქინძმარაული
1. თელავის ღვინის მარანი
2. ვაინმენი

VII კატეგორია — საუკეთესო ხვანჭკარა
1. ბადაგონი
2. შუხმან ვაინს ჯორჯია

VIII კატეგორია — საუკეთესო თეთრი მშრალი ღვინო
1. ვინივერია — „ქისი“
2. კორპორაცია ქინძმარაული — „მწვანე“

VIII –N კატეგორია — საუკეთესო თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო
1. შალვინო — „კარდენახი“
2. ძმები ასკანელები — „ტვიში“

IX კატეგორია — საუკეთესო წითელი მშრალი ღვინო
1. კორპორაცია ქინძმარაული — „ყვარელი“
2. თბილღვინო — „ნაფარეული“

IX-P კატეგორია — საუკეთესო წითელი პრემიალური მშრალი ღვინო
1. შატო მუხრანი — „შავკაპიტო“

IX -N კატეგორია — საუკეთესო წითელი ნახევრადტკბილი ღვინო
1. თელავის ღვინის მარანი — „ახაშენი“

X კატეგორია — საუკეთესო ვარდისფერი ღვინო
1. კახური ტრადიციული მეღვინეობა — საფერავი როზე
2. მეღვინეობა „ხარება“ საფერავი როზე

XI კატეგორია — საუკეთესო ბუნებრივი წითელი მშრალი ღვინო
1. ლუკასი — საფერავი
2. პეტრიაანთ მარანი — საფერავი

XII კატეგორია — საუკეთესო უსახელოური
1. მეღვინეობა ხარება

XIII კატეგორია — საუკეთესო ბუნებრივი თეთრი მშრალი
1. იაკობ ჭიღლაძე/საქ. ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანება/ჩინებული

მედიის რჩეული ღვინოები

I კატეგორია — საუკეთესო წინანდალი
- კორპორაცია „ქინძმარაული“

II კატეგორია — საუკეთესო კახური თეთრი ღვინო
- შუხმან ვაინს ჯორჯია

III კატეგორია — საუკეთესო საფერავი
- კომპანია „კახური“
- ქინძმარაულის მარანი

IV კატეგორია — საუკეთესო პრემიალური საფერავი
- თელავის ღვინის მარანი — „კონდოლი“

V კატეგორია — საუკეთესო მუკუზანი
- თელიანი ველი
- კომპანია „შუმი“

VII კატეგორია — საუკეთესო ხვანჭკარა
- შუხმან ვაინს ჯორჯია

VIII კატეგორია — საუკეთესო თეთრი მშრალი ღვინო
- კორპორაცია ქინძმარაული „მწვანე“

VIII –N კატეგორია — საუკეთესო თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო
- ასკანელი ძმები — „ტვიში“

IX კატეგორია — საუკეთესო წითელი მშრალი ღვინო
- კორპორაცია ქინძმარაული — „ყვარელი“

IX -N კატეგორია — საუკეთესო წითელი ნახევრადტკბილი ღვინო
- შალვინო — „შავი თვალები“

X კატეგორია — საუკეთესო ვარდისფერი ღვინო
- შატო მუხრანი „თავკვერი“

XI კატეგორია — საუკეთესო ბუნებრივი წითელი მშრალი ღვინო
- კახა ვახტანგაძის ალექსანდროული /ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანება/
- პეტრიაანთ მარანი — „საფერავი“

XIII კატეგორია — საუკეთესო ბუნებრივი თეთრი მშრალი ღვინო
- გიორგი ნემსიწვერიძე — „ტვიშის ცოლიკოური“ /ტრადიციული მეღვინეობის გაერთიანება/.

ნატო გუბელაძე

დაჯილდოების ცერემონიალი

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი“ (ყოფილი „პოპული“), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSpress-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94